საქართველო
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
ბრძანება

ბრძანება:ბ76. 76240179
თარიღი:17/01/2024

საქართველო ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" და „ე.ი" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „თ" ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 და მე-7 ქვეპუნქტების და ამავე დადგენილების მე- 2 მუხლის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

ქალაქი ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა #11, ტელ: (0439) 22 10 14
#11 BRATISLAVA-RACHA STR, AMBROLAURI, TEL: (0439) 22 10 14, E-MAIL: info.ambrolauri@gmail.com

4. მოქალაქეებისგან დანართი N2-ის მიხედვით საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2025 წლის 17 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების მეორე მუხლით განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისად.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

ა) ერეკლე დოხნაძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი- მობილურის N 577 604 900; 599 255 895 ელ. ფოსტა: erekleracha@gmail.com

ბ) კახაბერ ნეფარიძე მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი, მობილურის N 551 208 208 , ელ.ფოსტა: neparidze.k.66@gmail.com

გ) ეკატერინე ლაშხი -მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელი- მობილურის N 595 210 997 Lashkhiekaterine@gmail.com

დ) ალეკო ქურციკიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული -არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, მობილურის N 599 285 957, ელ.ფოსტა: argiteqtura7@gmail.rcom

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13)

8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერიდან.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი